

სერგო შავალათია

სერგო შავალათია  
1936 წლის 11 მარტი  
41

არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანო,  
დაბლა-გომეში და აღაიანში

1. სოფ. საკობიანო

საკობიანო კახეთში, იგი თელავიდან დაშორებულია 37 კილომეტრით და მდებარეობს პანკისის ხეობაში ალაზნის ნაპირას. 1936 წელს კოლმეურნე დონაური აქ მიწის თხრის დროს შემთხვევით წააწყდა ძველ სამარხს, რომელიც მას გაუთხრია და შიგ უპოვნია აღაშიანის თავის ქალა, ჩონჩხის ნაწილები და სამკაულები. მიცვალებულს აკლდამა არ ჰქონია, იგი პირდაპირ მიწაში ყოფილა ჩაფლული და ამიტომ ძნელი იყო აღაშიანის ნეშტის მდებარეობის გარკვევა. ამ საფლავში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

1. ვერცხლის ფიბულა, რომელსაც შესაკრავი (ენა) ყუნწთან აქვს მოტეხილი და აკლია. ფიბულას (ქინძისთავი) ყუნწი გამართულია ღერძზე და იგი მოძრავია. ფიბულას დიამეტრი უდრის 6 სანტ.

2. ვერცხლის სამაჯური, რომელიც შესდგება სამწყება მრგვალ მავთული-საგან. შუათანა მავთული დალარულია. სა- მაჯურს ზურგი და ორივე ბოლო ვერცხლისავე სალტით აქვს შექრული. მისი დიამეტრი 5 სანტ. (სურ. 1).

3. სამაჯური ვერცხლისა გახსნილი და ბოლოკვეთილი. მის ორივე ბოლოზე გამოქანდაკებულია ქვეწარმავალის (გველის) თავი. დიამეტრი=6,5 სანტ. (სურ. 2).

4. სამაჯური ბრინჯაოსი, სადა, ბოლოკვეთილი და გახსნილი. დიამეტრი=6 სანტ.

5. მინის მძივები ფერადი (მწვანე, თაფლისფერი და ცისფერი) სხვადასხვ ზომისა და ფორმისა (სურ. 3).

6. გემმა (ბეჭდისთვალი) მუქი წითელ ფერის მინისა, რომელზედაც ამოკრილია ბერძნულ-რომაულ გამოსახულების ფრთებ-გაშლილი არწივი, რომელიც დგას ნეპტუნის „სამთითაზე“.

7. ფული ვერცხლისა, რომლის დიამეტრი უდრის 1,8 სანტ., 3.800 გრ. (სურ. 4).

As. გამოსახულია მამაკაცის თავის პროფილი, მას აქვს მაღალი ქოჩორი.


8. საქ. სახ. მუზეუმის „მრამბე XI B“.



სურ. 1. ვერცხლის სამაჯური.

Nat. gross.

Rs. მჯდომარე ადამიანის ფიგურა, რომელსაც მარცხენა ხელზე უზის მძლეობის ლვთაება Nike, მარჯვენა ხელში მას შუბი უჭირავს და ფეხებში კი უძევს ლვთაება ნეპტუნის (პოსეიდონის) „სამთითა“.<sup>1</sup>




სურ. 2. ორი სამაჯური ვერცხ.

Nat. gross.

ეს ფული წარმოადგენს თრაკიის მეფის ლიზიმახეს (323—281 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდის) ფულის ბარბაროსულ მიბაძვას და მასზე ერთ მხარეზე უხეშად გამოსახულია ლიზიმახეს თავი (?) ამონის რქით და მეორე მხარეზე კი ტახტზე მჯდომარე შუბოსანი მინევრა, ხელზე „ნიკა“-თი და ფეხებ ქვეშ პოსეიდონის „სამთითათი“.

ამ ფულს ჩვეულებრივ ასეთი ბერძნული წარწერა აქვს: „ΒΛΑΣΙΛΕΩΣ ΛΥΣΙΜΑΧΟΥ“ (ლიზიმსმახუ). საკობიანოში აღმოჩენილი მისი წაბაძულობის ფულს კი ამ წარწერის ადგილზე მხოლოდ ხახები აქვს შერჩენილი.



სურ. 3. მინის მძიებები.

Nat. gross.

ჩვენ ვიცით, რომ თრაკიის მეფე ლიზიმახე თავისი მეფობის პირველ პერიოდში სჭრიდა ალექსანდრე დიდის გამოსახულების და წარწერის ფულებს, შემდეგ კი 306-281 წ. ჩვენ წელთაღრიცხვამდის მან დაიწყო ფულებზე თავისი წოდებულების და სახელის ამოჭრა.<sup>2</sup> ამას-თანავე ლიზიმახეს ფულები ტრიალებდა მთელ მცირე აზიაში და

ზღვის პირას მდებარე ქვეყნებში, სადაც ზოგიერთი სამეფოები და ავტონიური ოლქები ლიზიმახეს წაბაძვით თავიანთ ფულებსაც სჭრიდნენ.

<sup>1</sup> Roscher, Lexikon der gr. u röm. Mythologie, s. v. Poseidon (III, 2788 ff.).

<sup>2</sup> B. V. Head, Historia Numorum, Greek Numismatics, Oxford, 1911, 83. 284

მაგალითად, დასავლეთ ეპროპაში მოსახლე ძველი კელტები, რომლებსაც სხვათაშორის ეჭირათ დუნაისა და ყირიმის მიდამოები სჭრიდენ ლიზიმახეს მიბაძვის ფულებს. ამიტომ კელტური მოსახლეობას ტერიტორიაზე და განსაკუთრებით დუნაისა და ყირიმის სანაპიროებზე მრავალია აღმოჩენილი საკობიანოს ტიპის ლიზიმახეს მიბაძვის ფულები.<sup>1</sup>

ჩვენში ამ ტიპის ფულები დღემდის ჩნდებოდა შხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ძველ კოლხეთის ტერიტორიაზე, სადაც 1920 წელს სოფ. რეუეში აღმოჩნდა ლიზიმახეს ოქროს ფული და 1925 წელს ასეთივე ფული ზემოსვანეთში, სოფ. მალლამარხში იყო ნაპოვნი.<sup>2</sup> აღმოსავლეთ საქართველოში კი (ძველი იბერია—ალბანიის ტერიტორიაზე) საკობიანოში ლიზიმახეს მიბაძვის ფულის აღმოჩენა პირველ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

ამ ერთი შემთხვევის მიხედვით, რასაკვირველია ძნელია გარკვევა იმისა, თუ რა გზით შემოდიოდა და ვრცელდებოდა ჩვენში ლიზიმახეს წაბაძულობის ფულები.

გარდა სავაჭრო და ეკონომიური ურთიერთობისა დასავლეთის ქვეყნებთან (საბერძნეთ-რომი), შეიძლება ვითიქროთ, რომ ძველი კოლხეთ-იბერიის მეფებიც კელტების მსგავსად ლიზიმახეს მიბაძვის ფულებს სჭრიდნენ. ამის შესაძლებლობას სხვათა შორის შემდეგი საუკუნეების ნუმიზმატიკის ფაქტებიც ადასტურებენ. მაგალითად, ჩვენ წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში იბერიაში იჭრებოდა კეისარ ავგუსტუსის წაბაძულობის ფული, მე-III—VI საუკ. კი—სასანიდური.<sup>3</sup>

ამ მხრივ საკობიანოში აღმოჩენილ ფულს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქართული ნუმიზმატიკის ისტორიის შესასწავლად. ამასთანავე ეს ფული ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავათარილოთ საკობიანოში. აღმოჩენილი სამარხი და მისი ინვენტარიც. მით უმეტეს ჩვენ ვიცით, რომ წინათ მიცვალებულს ჩვეულებრივად ატანდენ იმ ფულს, რომელიც მაშინ ტრიალებდა, რადგანაც ხალხის წარმოდგენით საიქიოში მიმავალ მიცვალებულს გზაში ფული სჭირდებოდა. მიცვალებულს ფულს უდებდენ პირში ან ხელში.<sup>4</sup>



სურ. 4. მონეტა ვერცხლისა.  
Nat. gross.

<sup>1</sup> R. Forrer, Keltisches Münzwesen (Max Ebert, Reallexikon der vorgeschichte VI Band, გვ. 300—326, Tafel 86, № 4, 5).

R. Forrer, Studien zur Keltischen Numismatik 1926 წ.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, 1920—1924 წ. წ. საქარ. აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის ათარიღებისათვის (საქარ. მუზ. მოამბე ტ. IV, ტფ. 1928 წ. გვ. 162—167).

<sup>3</sup> J. de Morgan, Mission scientifique au Caucase t. II, Paris, 1889. გვ. 197—19. ა. № 9; E. A. Покомов, Монеты Грузии, ч. I, СПБ., 1910 წ. გვ. 10—11. 3. M. Б. Тасев, Нумизмат. факты Груз. царства, СПБ., 1844, გვ. 17—18, tab. I, II.

<sup>4</sup> ეს ჩვეულება საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდის დაცულია. ამ წესის მოგვეპოვება ისტორიული ცნობებიც (ს. მაკალათია, Op. cit. T. IV, გვ. 161. რ. 330 შენიშვნა).

ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ლიზიმახეს მიბაძვის ამ ფულის მიხედვით საკობიანოს სამარხი და მისი ინვენტარი მივაკუთვნოთ III საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდის.<sup>1</sup>

## 2. დაბლა-გომი

სოფ. დაბლა-გომი იმყოფება სამტრედიის რაიონში, ბათომის რკინისგზის ხაზზე. სამტრედიიდან დაბლაგომამდის 7 კილომეტრია. აქ წყდება რიონის ჭალა და იწყება მთები საქმაო მაღალ გორაკებით, რომლებიც წარმოადგენენ საჯავახოს მთის კალთების გაგრძელებას. ეს მთა გურია-იმერეთის გამყოფია და იგი უშუალოდ დაჰყურებს რიონის ჭალას. ამ მთებს შორის სოფ. დაბლაგომთან აღმართულია საქმაოდ მაღალი გორაკი, რომელსაც „ნაციხვარა“-ს უწოდებენ. მისი სახელწოდება „ნაციხვარა“ გულისხმობს, რომ აქ უნდა ყოფილიყო რომელიმე ძეველი ციხე-ქალაქი. მით უმეტეს, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ნაციხვარა ისტორიული აღილია, რომელიც მოქაეულია რიონის სამხრეთ ნაპირით მიმავალ ძეველ კოლხეთ-ლაზიკის გზაზე.

ნაციხვარა წინათ ტყით ყოფილა დაფარული, მხოლოდ XIX საუკ. ოთხმოციან წლებიდან აქ ჩნდება მოსახლეობა და მიწის სავნახედ გადაბრუნებასთან დაკავშირებით ნაციხვარაზე იწყება შემთხვევითი ხასიათის არქეოლოგიური აღმოჩენები.

დაბლა-გომის ამ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება თავის ინვენტარით, დასაფლავების ფორმით და აქ აღმოჩენილ კოლხურ ფულებით.

1933 წლის 30 სექტემბერს საქარ. მუზეუმის არქეოლოგიური განკურებული დაღვიურებით მე შეუდექი ნაციხვარას მიღამოს არქეოლოგიურ დაზერხვას და საცდელად 2 ოქტომბერს გაესთხარე ერთი სამარხი ნაციხვარას დასავლეთის ფერდობზე.

ბარის პირველი დაკვრისთანავე წავაწყდი ქვევრის ნაპირს, რომელიც აღმოჩნდა ჩაქცეული და ეს ქვევრი შიგნით მიწით იყო გატენილი. გათხრის დროს ქვევრში პირველად 40 სანტ. სილრმეში აღმოჩნდა გვერდზე წაწოლილი შავი თიხის სურა (სურ. 5), ქვევრის დასავლეთის კიდესთან ფერად მინის წვრილი მძივები (სურ. 6) ქვევრის ფსკერზე კი ბრინჯაოს სამაჯური და კოლხური ვერცხლის წვრილი ფული (სურ. 7).

აღამიანის ჩონჩხის ნაწილები ქვევრში არ შენახულა, მაგრამ ამოღებული მიწა აშკარად მოწმობდა, რომ ჩონჩხი მიწის სინესტისაგან დაშლილა და მიწად ქცეულა.

საფლავის ქვევრი შედარებით კარგად გამომწვარი თიხისაგან იყო გაკეთებული. იგი შეგნით მოწითალო ფერისაა, გარედან კი შავია და წვრილად დალარული. ქვევრი მიწაში ჩაფლული იყო თავდალმა. მას ძირი მოტეხილი აქვს, მისი ყელი ვიწროა, საიდანაც მიცვალებულის ნეშტის ქვევრში ჩასვენება არ შეიძლებოდა

<sup>1</sup> საკობიანში აღმოჩენილი ეს კოლექცია ინახება თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომლის დირექტორს ალ. მამულაშვილს მასალის მოწოდებისა და დაწმარებისათვის მადლობას მოვახსენებ.

ამიტომ მიცვალებული უნდა ჩაესვენებინათ ქვევრის მოტეხილ ფსკერიდან და ამზრომ ქვევრის ფსკერის დასაფარავად დაუტანებიათ ქვევრისავე ბრტყელი ნატეხები.

ქვევრის სიმაღლე უდრის 70 სანტ., კედლის სისქე 1,6 მილიმეტრს; მოტეხილი ფსკერის დიამეტრი  $66 \times 66$  სანტ.; ყელის დიამეტრი 29 სანტ.

ქვევრს აქვს კონუსის ფორმა, მისი კედლის გარე პირი დაჭრელებულია გეომეტრიული ფიგურებით და ყელთან მას ჯვარი აქვს გამოსახული.

ქვევრი მიწაში ლრმად არ იყო ჩაფლული, მისი სილრმე ნიადაგის ზედაპირიდან სამხრეთის მხრივ (მთა) 0,44 სანტ., ჩრდილოეთ-და-სავლეთით კი 10 სანტ. აღწევს (ფერდობია).

ამგვარად ჩვენთვის უკვე გარკვეულია ნაციხვარას, სამარხი ქვევრის ფორმა და მდებარება. მაგრამ ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა გაირკვეს, თუ როგორ უნდა ყოფილიყო აღამიანის ნეშტი ამგვარ ქვევრში ჩასვენებული.

საზოგადოდ ქვევრის სამარხში აღამიანის ნეშტს ფეხმოკეცით ან მორკალულად და გვერდზე მწოლარედ ჩასვენებდნენ. ნაციხვარას

ქვევრში ინვენტარის მდებარეობის მიხედვით მიცვალებულის ნეშტი მორკალულად გვერდზე მწოლარე უნდა ყოფილიყო, მას თავკისერი დასავლეთით ჰქონია, რახაც ყელის მძივები აღასტურებენ, ხელები კი ჩრდილოეთის მიმართულებით, საღაც აღმოჩნდა სამაჯური და ფული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვევრში დასაფლავების ანალოგიური შემთხვევა ჩვენ გვაქვს ზემო-ავჭალაში, ზაჲესის მიდამოში, ჯვრის საყდრის მხარეზე, სადაც 2,85 მეტ. სილრმეში აღმოჩნდა ორი მრგვალი, ნაციხვარას ტიპის ქვევრი და ერთ მათგანში ესვენა აღამიანის ნეშტი მორკალულად მარცხენა გვერდზე მწოლარე, რომელსაც თავი სამხრეთით ჰქონდა.<sup>1</sup>

დაბლა-გომის არქეოლოგიურ აღმოჩენებში ყველაზე მნიშვნელოვანია კოლხური ფული, რომელიც ათარილებს ნაციხვარას სამარხსა და მის ინვენტარს.



სურ. 5. თიხის სურა,  
1/2 Nat. gross.

<sup>1</sup> ზემო-ავჭალის ამ აღმოჩენის შესახებ მოკლვ ცნობები მოთავსებულია: „Archäologischer Anzeiger“-ში 1925 წ. (იხ. Vesendorf, Archäologisches aus Kaukasus, გვ. 53—54, სურ. 2, 3 და 4).

ეს კოლხური წვრილი ვერცხლის ფული ჩვეულებრივი ტიპისაა.

As. გამოსახულია ქალის პროფილი, რომელსაც უკან ჩამოშვებული აქვს გაშლილი თმა.


Rs. ამოჭრილია ხარის თავი. (სურ. 8).

დაბლა-გომში ამგვარი კოლხური ფულები მრავალია აღმოჩენილი, მათი დიამეტრი საშუალოდ უდრის  $1,2 \times 1,2$  მილიმეტრს, წონა 1,280—2.400 gr.



სურ. 6. მინის მძივები.

Nat. gross.



სურ. 7. სამაჯური ბრინჯაოსი.

Nat. gross.

ეს ფულები იჭრებოდა და ტრიალებდა ძველ კოლხეთში (დასავლეთ საქართველო) IV—I საუკ. ძვ. წ. და ჩვენში იგი ცნობილია კოლხურის სახელ-წოდებით.<sup>1</sup>

ამ კოლხურ ფულებს ჩვეულებრივად პოულობენ თიხის ქოთნებში, როგორც განძს და ჯერ არ იყო ცნობილი შემთხვევა, რომ კოლხური ფულები აღმოჩენილიყო სამარხში. ამ მხრივ დაბლა-გომის აღმოჩენა პირველ და მნიშვნელოვან შემთხვევად უნდა ჩაითვალოს და ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ კოლხურ ფულებს მიცვალებულებს საფლავში ატანდნენ.



სურ. 8. კოლხური მონეტა.

Nat. gross.

ამ ფულისა და აგრეთვე სამარხში აღმოჩენილი ინვენტარის შედარებით შესწავლის მიხედვით დაბლა-გომის ეს სამარხი ეკუთვნის III—II საუკ. ჩვენ წელთაღრიცხვამდის.

### 3. ალაიანი

სოფ. ალაიანი გორის რაიონშია და სადგურ ქსანიდან იგი დაშორებულია ხუთი კილომეტრით. ეს სოფელი მდებარეობს ქსნის ხეობაში და შედის ქვემო-ჭალის ოემსაბჭოში.

1928 წლის 15 ნოემბერს ალაიანის ახალ უბანში, რომელსაც აქ „ახალ სოფელს“ უწოდებენ, გლეხმა გიორგი ივანეს-ძე მახარაშვილმა, აღმოაჩინა თიხის კუბო. მახარაშვილი გადასახლებულა ამ ახალ უბანში და აქ შესდ-

<sup>1</sup> ს. მაკალა თრა, კოლხური დიდრაქმა, საქარ. მუზეუმის მოამბე, ტ. VII, გვ. 193—202.

გომია ბოსლის აგეპას. მიწის თხრის დროს, დაახლოვებით ერთ მეტრის სიღრმეში მას უპოვნია მომცრო ზომის თიხის კუბო. რომელიც მისივე ჩვენებით ჭოფილა და ამოლების დროს კუბო მთლად დაშლილა.

კუბოში მას უპოვნია ადამიანის ჩონჩხის დაშლილი ნაწილები, ოქროს საშვაულები და ორი ოქროს ფული. ამავე წლის 20 დეკემბერს გ. მახარაშვილმა ეს ფულები და ნივთები გადასცა საქართველოს მუზეუმს, სადაც დღესაც ინახება (იხ. № 16—28/1—6).

1929 წლის გაზაფხულზე საქარ. მუზეუმის არქეოლოგიურ განკ. დავალებით მე გავემგზავრე სოფ. აღაიანში და დავათვალიერე „ახალ სოფლის“ უბანი, სადაც აღმოჩენას ადგილი ჰქონდა და შევკრიბე დამატებითი ცნობები. აღმოჩენის ადგილზე უკვე ბოსელი აეგოთ და ამით სამარხის კვალი წაშლილიყო. იქვე ეყარა სამარხიდან ამოლებული თიხის კუბოს ნატეხები და ადამიანის ჩონჩხის ნაწილები.

აღაიანის ეს აღმოჩენა საყურადღებოა, განსაკუთრებით სამარხის ფორმით. აქ აღმოჩენდა თიხის კუბო შიგ ორი ოქროს ფულით, რომელსაც დაახლოვებით მაინც შეუძლია ასეთ ტიპის კუბოების ჩვენში გავრცელების დროის განსაზღვრა.

აღაიანში აღმოჩენილი ეს თიხის კუბო, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დამსხვრეული იყო, მაგრამ კუბოს თავის ნატეხის მოყვანილობიდან ირკვევა, რომ ის უნდა ყოფილიყო თავ მორგვალებული, მოგრძო და ოვალურ ფორმისა. კუბო მოწითალო თიხისაა და კარგად არის გამომწვარი, მისი კედლის სისქე უდრის 2,5 სანტ.

კუბოს ნაპირის ერთ ფრაგმენტიდან სჩანს, რომ კუბოს ნაპირიდან 7 სანტიმეტრის ქვეშ ჰქონია შემოვლებული სარქველის (სახურავის) დასაყრდენი, რომლის სისქე უდრის 6,5 სანტიმეტრს. ეს საყრდენი მოწმობს, რომ კუბოს ჰქონია სარქველი, რომელიც 7 სანტიმეტრის სიღრმით კუბოს ზედ ეხურებოდა.

საქართველოში ჩვენ გვაქვს ამგვარ სარკოფაგების აღმოჩენის რამდენიმე შემთხვევა: ერთი აღმოჩენილია არაგვის ხეობაში, სოფ. საგურამოსთან, <sup>1</sup> მეორე ურბნისში და ორივე ეს კუბო დღეს დაცულია საქართველოს მუზეუმში (იხ. Museum Caucasicum, ტ. V, ტფილისი, 1902 წ. გვ. № 2232a, 22326).

მესამე სარკოფაგი ბორჯომის ხეობაშია ნაპოვნი და დღეს ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში. მეოთხე ასეთივე ტიპის თიხის კუბო 1910 წელს ატენშია აღმოჩენილი ა. კაზნაკოვის მიერ. ეტყობა ეს კუბო არ გაღმოუტანიათ ტფილისის მუზეუმში, სადაც ინახება მხოლოდ ხელით ჩახატული მისი სურათი № 6—10. საგურამოს თიხის კუბოს სიგრძე უდრის—2 მ., განი 0,58 მ., კედლის სიმაღლე 0,28 მ. კუბოს ნაპირი ბრტყელია—9 სანტ. და მას სარქველის წრე არ იქვს. კუბო აღბათ იხურებოდა თიხისა ან ქვის ფიქალით. ამას წააგავს თავის ფორმით და მოყვანილობით ბორჯომის თიხის კუბოც, რომლის სიგრძე—2 მ., განი 0,66 მ. და სიმაღლე—0,35 მ.

<sup>1</sup> Сообщение Байерна о двух найденных на Кавказе глиняных саркофагах (იხ. Пятый Археологический съезд в Тифлисе, Москва 1879 г. გვ. 63—64).

ურბნისის სარკოფაგის სიგრძე უდრის — 1,75 მ., განი 0,58 მ., კედლის სიმაღლე 0,34 მ., სისქე — 2 სანტ. მას ნაპირზე შემოვლებული აქვს სარქველის დასაყრდენი კუჭუბიანი არშია (იხ. სურ. 9).

ურბნისის ამ სარკოფაგს სარქველი ჰქონია და ის თავის მოყვანილობით წააგავს ატენის სარკოფაგს.

თიხის ამ სარკოფაგებს შორის აღაიანის სარკოფაგითავის ფორმით და სასარქვლე წრით უფრო უდგება ურბნის-ატენის სარკოფაგების ტიპს, რომლის მიხედვით შესაძლებელია მისი ფორმის დადგენაც.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თიხის კუბონების აღმოჩენის სრული აღწერილობა არ მოიპოვება და არც ის ვიცით, თუ რა ინვენტარი იყო მათში მოთავსებული, გარდა ატენისა, რომელშიაც ა. კაზნაკვის ცნობით ადამიანის ძვლებს შორის აღმოჩენილია ერთი ცალი რკინის-ენიანი სპილენძის ბალთა, ამიტომ ძნელი იყო ამ თიხის სარკოფაგების დათარიღება და გათი ჩვენში გავრცელების დროის დადგენა.

ამ მხრივ ფრიად მნიშვნელოვანია აღაიანის აღმოჩენა. შით უმეტეს, რომ აღაიანის თიხის კუბონი ნაპოვნია ორი ცალი ოქროს ფული: ერთი ცალი კონსტანტინე დიდის ოქროს ფულია და იგი კარგად არის დაცული. (იხ. სურ. 10)

$D=2 \times 2$  სანტ. მისი წინა 4,520 grm.


As — გამოსახულია თავდადაფნილი კონსტანტინეს პროფილი, წარწერით: CONSTANTINVS PFAVG [(ius) F (dix) Aug (ustus)].

Rs — გამოსახულია რომაული მხედარი, რომელსაც მარჯვენა ხელში ლაბარი (Labarum) უჭირავს, მარცხენაში კი მათრახი. მის წინ ორი ადამიანია ხელაბყრობილად წახოქილი, უკანაძაც ერთი მამაკაცია შუხლმოყრილი. გარშემო აქვს ასეთი წარწერა; VICTOR OMNIVM CENIVM.

ხაზის ქვეშ: SMNG (მოჭრილია ნიკომიდიის მესამე ზარაფხანაში).

კონსტანტინეს ოქროს ეს სოლიდი ტოჭრილია მაქცენსიუსზე ძლევის შემდეგ 312 წელს, რასაც მოწმობს სხვათა შორის ფულზე გამოსახული ლაბარი. ჩვენ ვიცით, რომ კონსტანტინე დიდმა ეს

ნიშანი მხედრობაში შემოიღო იმ ჯვრის ხილვის შემდეგ, რომელიც მას ეჩვენა მაქცენსიუსთან ბრძოლის დროს და თავის გამარჯვებასაც იგი ამ ხილვას



9. სარკოფაგი ურბნისიდან. 1/12 Nat. gross.

მიაწერდა. 312 წლიდან ასეთი ფულები იჭრებოდა კონსტანტინე დიდის გარდაცვალებამდე—337 წლამდე.

კონსტანტინეს ამ ოქროს სოლიდთან აღაიანში აღმოჩენილია მეორე ოქროს ფულიც. (იხ. სურ. 11).

მისი  $D=1,9 \times 1,8$  სანტ., წონა 3,540 grm.

ეს ფული საყურადღებოა და წარმოადგენს რომაულ-ბიზანტიური ოქროს სოლიდის უხეშ მიბაძვას.

As—გამოსახულია თავგვირგვინიანი იმპერატორის პროფილი გარშემო გაურკვეველ და დამახინჯებულ წარწერით: IMPO... IIIVSCN.

Rs—გამოსახულია Nika, რომელსაც მარცხენა ხელით გვირგვინი მიაქვს, ზარჯვენა ხელში კი პალმის შტო უჭირავს. გარშემო აქვს პირუკულმა ასეთი წარწერა: VI. TORIVC VVC (Victoria Augustorum).

ხაზის ქვეშ: C. H. C.



სურ. 10. კონსტანტინე დიდის ოქროს მონეტა.  
Nat. gross.



სურ. 11. მონეტა ოქროსი. ბარბარისული  
მიბაძვა რომაულ სოლიდისა.  
Nat. gross.



ამ ოქროს ფულზე იმპერატორის პორტრეტი და წარწერა გაურკვეველია და ამიტომ ძნელია იმის გადაჭრით თქმა, თუ როდის და რომელ იმპერატორის დროს უნდა იყოს იგი მოჭრილი. მაგრამ ფულის მოჭრის ტექნიკა და თავუკულმა მახინჯი წარწერა აშეარად მოწმობენ, რომ ის რომაულ-ბიზანტიური სოლიდის მიბაძვით არის მოჭრილი. ახლა იბადება საკითხი, ეს ფული სად და ვის მიერ უნდა იყოს მოჭრილი? ჩვენ ვიცით, რომ ამგვარ წაბაძულობის ფულები იჭრებოდა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებიც პოლიტიკურ-ეკონომიკურად მოქცეულ იყვნენ რომისა და შემდეგ ბიზანტიის გავლენის ქვეშ, რომ ამით დაეკმაყოფილებინათ ფულის ტრიალის ადგილობრივი მოთხოვნილება.

ასეთ გავლენის ქვეშ იმდროინდელი კოლხეთი და იბერიაც იყო მოქცეული და ჩვენშიაც ასეთ წაბაძულობის არა ერთი ფულია მოჭრილი და აღმოჩენილი. მაგალითად ჩვენში ცნობილია ლიზიმახეს<sup>1</sup>, ოქტავიან ავგუსტოსისა<sup>2</sup> და სასანი-დურის<sup>3</sup> წაბაძულობის ფულები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლების მიერ

<sup>1</sup> ს. მაკალათია, საქართველოში აღმოჩენილ ზოგიერთი ნექროპოლის დათარილებისათვის, საქარ. მუზეუმის მოამბე ტ. IV, თბილისი, 1928 წ., გვ. 162—167.

<sup>2</sup> J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, t. II, Paris, 1889, გვ. 197—198, fig. 9; E. A. Покомов, Монеты Грузии, часть I, СПБ, 1910 г. გვ. 10—11.

<sup>3</sup> М. Баратаем, Нумизматические факты Груз. царства, СПБ. 1844 г. გვ. 17—18, Таб. I, II.

იქრებოდა. აღაიანში აღმოჩენილი ეს ოქროს ფულიც ამგვარ მიბაძვითი პატრილი ფულების სისტემას მიეკუთვნება. ასეთი ფულები ალბად იქრებოდა იმდროინდელ იბერიაში და თავის ლირებულებით იგი ეთანაბრებოდა რომ-ბიზანტიის ოქროს სოლიდებს.

გარეგნულ გამოსახულებით და მოჭრის ტექნიკით აღაიანის ეს ოქროს ფული უფრო წააგავს ჩრდილო იტალიის პროვინციებში აღმოჩენილ IV—V საუკუნის იტალიურ-ბიზანტიური წაბაძულობის ოქროს ტრემისებს (Tremisses  $\frac{1}{3}$  სოლიდისა), რომლებსაც სჭრილნენ ფრანკები, გოთები, ლანგობარდები და გალები.<sup>1</sup>

ერთი სიტყვით აღაიანში ნაპოვნი ეს ოქროს ფული ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ ძველ საქართველოში ადგილი ჰქონდა უცხოეთის წაბაძულობის ფულების მოჭრის სისტემას. ამავე დროს აღაიანში აღმოჩენილი ოქროს ფულები, განსაკუთრებით კონსტანტინე დიდის ოქროს სოლიდი, დაახლოებით მაინც սთარილებენ აღაიანის არქეოლოგიურ აღმოჩენას და ჩვენში თიხის სარკმლაგების გავრცელების დროს.

ეს დროა IV—V საუკუნე, როდესაც ჩვენში ქრისტიანობა მტკიცდება და ამ ახალ მოძღვრებასთან იკვლებოდა დასაფლავების ძველი წესებიც და თანდაონიბით ვრცელდებოდა ამ ტიპის თიხის სარკმლაგი, რომელიც შემდეგ ხის კუბოზე გადადის.

აღაიანის თიხის კუბოში აღმოჩენილი სამკაულები:

1. ბეჭედი ოქროსი, რომელსაც შუაში უზის მოშავო ფერის სარდიონის თვალი. ორივე მხრივ აქვს გულის ფორმის ცარიელი ბუდე, რომელიც შემკულია სამ-სამი წერტილით. ბეჭდის დიამეტრი  $2 \times 2$  სანტ. (სურ. 12).

2. სამკაული ოქროსი, 10 ცალი მრგვალი და თხელი. დიამეტრი  $4 \times 4$  მილიმ. სიგრძე—4 მილიმეტრი. სამკაული სადაა და გულ-მკერდის შესამკობი უნდა ყოფილიყო. (სურ. 13).



სურ. 12. ბეჭედი

ოქროსი.

Nat. gross.



სურ. 13. სამკაული ოქროსი.

Nat. gross.



<sup>1</sup> Граф И. И. Толстой, Византийские монеты, вып. IX, Петроград 1912—1914 г. гг. 212, 251, 384—385; Wroth, Catalogue of the coins of the Vandals, Ostrogoths and Lombards and of the Empires of Thessalonica, Nicaea und trebizonde in the British Museum, London 1911.